დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 21 პარასკევი, 12 დეკემბერი 1908 წ. № 21

გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის საიდუმლოებანი" დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**5** მან. **10** კაპ., ერთი თვით—**1** მან.

თვიური ფასები:

(პირველი სტრიქონი რუსეთისაა, მეორე—საზღვარ-გარეთისა)

12 თვით	11 თვით	10 თვით	9 თვით	8 თვით	7 თვით	6 თვით	5 თვით	4 თვით	3 თვით	2 თვით	1 თვით
8—50	8—10	7—60	7—10	6—50	5—80	5—10	4—40	3—70	3— „	2— „	1— „
12— „	11— „	10— „	9— „	8— „	7— „	6— „	5— „	4—50	3—50	2—50	1—50

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთიამად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში: „დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქიქოძიშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. Агладзе.

დაკრძალვა ახლად გარდაცვალებულის

ანდრია სიმონის მის ბენაშვილისა

მოხდება პარასკევს, 12 დეკემბერს, ქუთაისში. გამოსვენება დილის ცხრა საათზე. (1—6—1)

ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გარდაცვალებას დაუვიწყარ ამხანაგის

ანდრია ბენაშვილისას.

დაკრძალვა ქუთაისში პარასკევს, 12 დეკემბერს. გამოსვენება დილის ცხრა საათზე. (1—6—1)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—1)

ექიმი თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—1)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—47)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**
იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—48)

ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი
იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—6)

ექიმი კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—18)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში
იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლეჩხუმის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—9)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

ტფ. კერძო სამკურნალო
(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ს. ენფიაჯიანცისა; ტელეფონი 695.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

ექ. ვ. ღ. ლამბაშიძე: ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოვ დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

ექ. ი. გ. გომართელი: ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ხიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სპეციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—4)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი კ. თ. **ტყეშელაშვილი** ქუთაისში
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—11)

ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საგუბერნიო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—კვ.—14)

ექიმი ზ. ე. ხოჯააპარუხოვი
ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—15)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

სამკურნალო ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. ძნელ ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—13)

წარმოდგენა № 1. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 1.

კვირას, 14 დეკემბერს 1908 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ვ. ჩერქეზიშვილისა, ჯავახიძე, ... ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, ი. შევდევანოვი, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, გრიშაშვილი, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი, ჟივიძე, ს. ხვიჩინიძე, შ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. მათიროშვილი, ვ. იმნაძე, ვ. შალიკაშვილი.

ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაციები მხატვრების თოიძის, ლოპატინსკის და დეკორატორ **ნოვაკის** მიერ.

ადგილების ფასი: ლოჟები 15 მ.-დან 7 მ.-მდე, პარტერი 5 მ.-დან 1 მ.-მდე, გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „მეგობრობა" ნ. შიუკაშვილისა, „ცელები" ლემონიესი.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგადოება.

ტფილისის სახაზინო თეატრი

პარასკევს, 12 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

„ფ ა უ ს ტ ი"

მონაწილენი: ქ-ნნი დრუზიაკინა, კალინინა მეორე, ლავროვა; ბ-ნნი სერგეევი, სიმონოვი, ტომსკი, ხლუსტინი და სხვ.

დირიჟორი **ლ. ბ. გინზბურგი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ხვალე გალა წარმოდგენა პირველად ტფილისში **„გოფმანის ზღაპრები"**. 14 დეკემბერს ორი წარმოდგენა: დღით დაკლებულ ფასებში „მეფე დურგალი"; საღამოთი „სიყვარულის ღამე". 16 დეკემბერს ბენეფისი ს. ა. სერგეევისა „რუსლან და ლუდმილა". 18 დეკემბერს ბენეფისი თეატრის კასსირის მ. დ. სტრელკოვაია-პლიამისა.



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

პარასკევს, 12 დეკემბერს, დიდი სადღესასწაულო წარმოდგენაა 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ ტფილისში ჯერ პირველად მოსულნი პირველ ხარისხოვანი მოთამაშენი. დასი სულ ერთიან ახალია. დღეს მონაწილეობას იღებენ: საზოგადოების საყვარელი **რიჩარდ რიბო,** საუკეთესო ჟოკეი **ვოლტერ პარაერი,** ჰაერის მეფენი ტრიო **დეხერტი,** შესანიშნავი კომიკები **ვოლდი** და **მაი.** მემუსიკე კლოუნები **კამაკიჩები,** გიმნასტი **ირაჩია** და სხვანი. დასასრულ დიდი ბალეტი, რომელიც შესდგება 24 ბალერინისაგან. დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი სწორედ საღ. 8 ნახევარ საათზე.

დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

კვირას, 18 დეკემბერს, ორი წარმოდგენა. (0—1)

პარასკევიდან, 12 დეკემბრიდან

ლიკვიდაციის გამო

დანიშნულია **საბოლოო ვაჭრობა** ყველა საქონლის გასასყიდად

ძმ. ა. და ი. ალშვანგის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე.

ფასები მალზე იაფია

(ნ.—2)

„ტფილისის კრუჟოკში", 29 დეკემბერს

საზოგადოება განათლება

მართავს

ისტორიულ საღამოს

წარმოდგენილი იქნება ისტორიიდან სხვა და სხვა სიმღერებით და ცეკვით. ისტორიულ პირების გამოსვლა.

ტანისამოსი უნდა იყოს უბრალო ჩითისა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი ქუთაისში **ვ. წერეთელი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია
უვრის ყვავილს. იღებს ყელჭირვების, ზუნაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველდღე 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68.

ცნობა

სავაჭრო სახლი

ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის

ნიკოლოზის ხიდზე, ქამოევის სახლში №№ 25—30.

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ მყიდველებს, რომ რადგანაც საკუთარ ფაბრიკაში დამზადებულია დიდ-ძალი საქონელი

100,000 მანეთისა:

მამაკაცის, დედაკაცის, ბავშვების და ყველა დაწესებულების ფორმების; და, საზოგადოთ, ვაჭრობის შეჩერების გამო, მთავარ გამგეობის განკარგულებით ამ წლის **პირველ დეკემბრიდან** ყველა საქონელზე, რომელიც ინახება საზამთრო და საზაფხულო მაღაზიებში ტფილისში დანიშნულია

დიდი იაფი ვაჭრობა

(10—6.—4)

ტფილისი, 12 დეკემბერი.

თავად-აზნაურთა მამულების დავალიანება, ვიდრე განმანთავისუფლებელი მოძრაობა დაიწყებოდა, დიდ ყურადღებას იქცევდა როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. მოძრაობის დროს და ეხლა მამულების დავალიანება მრავალმა სხვა უფრო დიდ მნიშვნელოვანმა ინტერესმა დაჩრდილა. შეიცვალა აგრეთვე თვალსაზრისი სათავად-აზნაურო მამულების შესახებ. ვალი კი წინანდელზე მეტი თუ არა, ეხლა ნაკლები არ აწევს მამულებს.

განსხვავება მამულების მდგომარეობისა წინად და ეხლა უმთავრესად ის არის, რომ წინად თავად-აზნაურობა მამულების შერჩენას ესწრაფოდა, ეხლა კი თავიდან მოშორებას სცდილობს. მთავრობაც სწორედ ასე უცქეროდა საქმეს. იგი წინად ათასგვარ შეღავათს აძლევდა მემამულეებს იმ განზრახვით, რომ დავალიანებას არ მოჰყოლოდა თავად-აზნაურთა ხელიდან მიწა-წყლის წასვლა, ეხლა კი მთავრობის აზრიც სხვა გვარად მიმდინარეობს. ეხლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ მიწა მიწის მუშისაკენ მიიწევს; ყველა ჰხედავს, რომ მიწის მოძრაობის ეს ტენდენცია სტიქიონურის ძლიერებისაა, და ამიტომ თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ინტერესების გამომხატველად ახალი ლოზუნგი გახდა: მამულის გაყიდვა დიდ ფასებში. მთავრობაც სწორედ ამ ლოზუნგის მიხედვით აწარმოებს სადგილმამულო პოლიტიკას და რუსეთში უკვე ისეთი მდგომარეობა დამყარდა, რომ მემამულეს ადვილად შეუძლიან მეტად სასარგებლო პირობებში შესცვალოს თავის სიმდიდრის ფორმა: მიწის მაგიერ ნაღდი ფულის პატრონი გახდეს. თავად-აზნაურობის ინტერესებთან შეთანხმებული ახალი მდგომარეობა დამყარდა მთავრობის მეცადინეობით მიწის ფასის გასაზრდელად: გაფართოვება საგლეხო ბანკის მოქმედებისა, ამ ბანკის გამოსვლა მიწის ბაზარზე მყიდველის როლში, სადგილმამულო კომისიების დაწესება და მრავალი სხვა ხელოვნური საშუალება უკანასკნელ წლებში განუწყვეტლივ ზევით სწევს მამულების ფასს. საკმაოა ვთქვათ, რომ მიწის ფასმა რუსეთის ზოგ ადგილებში დესეტინაზე სამას-ოთხას მანეთს მიაღწია. მიწის ბაზარი ისე უხვად ასაღებს გასასყიდ მამულებს, რომ მემამულე დავალიანების ტვირთს ველარც კი ჰგრძნობს. ვალი ან სახელმწიფოზე გადადის ან გლეხებზე, თვით მემამულეები ე. ი. თავად-აზნაურნი კი თავისუფალ თანხის პატრონებად ჰხდებიან. ასეთ შეღავათიან და სანეტარო მდგომარეობაში იმყოფებიან თავად-აზნაური მემამულენი რუსეთში და, რა თქმა უნდა, იქ ეხლა აღარც საჩივარი ისმის მამულების დავალიანებაზე. იცვლება სახე ეკონომიურის ცხოვრებისა, იცვლება სახე გაბატონებულ კლასსის ეკონომიურ ძლიერებისა და იცვლება ამის მიხედვით სახე გაბატონებულ კლასთა მფარველობისა მთავრობის მხრივ.

ასეთია, ზოგადის ხაზებით რომ აღვნიშნოთ, თავად-აზნაურობის და მისის მამულების მდგომარეობა რუსეთში. იქ ერთის კლასსიურის ტენდენციით არის გამსჭვალული მთავრობის პოლიტიკა და ნაყოფსაც ფრიად სასარგებლოს იძლევა თავად-აზნაურობისთვის. ჩვენში ამ კლასსურ ტენდენციას მთავრობა ნაციონალისტურ ტენდენციას უკავშირებს აქ მიწის საკითხში თავად-აზნაურთა

ინტერესების მფარველობაზე უფრო ცხადად სჩანს სურვილი თავისუფალ საადგილმამულო ფონდის შექმნისა იმ განზრახვით, რომ რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის საკმაო მიწები მოგროვდეს მთავრობის დაწესებულებათა ხელში. ეს ორი ტენდენცია, ერთი კლასსური და ერთი ნაციონალისტური, ბუნებრივ წინააღმდეგობაში იმყოფებიან. კლასსური ტენდენცია მოითხოვს თავად-აზნაურთა მამულების ფასის აწევას, ხოლო ნაციონალისტური კი ფასის დაცემას, როცა საგლეხო ბანკი თითონ ყიდულობს მიწას, იგი სცდილობს, რაც შეიძლება იაფად იყიდოს. რათა იაფად დაჯდეს საადგილ-მამულო ფონდის შექმნა; ხოლო როცა თავად-აზნაურთა მიწას გლეხები ყიდულობენ და საგლეხო ბანკი კი შუამდგომლობას ეწევა და სესხს აძლევს, მაშინ იგი ისე არა სცდილობს ფასების დაცემისთვის. ოფიციალურ ცნობებით, პირველ შემთხვევაში საგლეხო ბანკი ერთაშუა რიცხვით დესეტინას აფასებს 50 მან., მეორე შემთხვევაში 107 მან., ე. ი. ერთი ორად.

ნაციონალისტური ტენდენცია უფრო ცხადად სჩანს, როცა ბანკი ადგილობრივ გლეხებზე ჰყიდის თავის ხარჯით შეძენილ მიწას; ამ შემთხვევაში იგი თითო დესეტინას ორთაშუა რიცხვით 220 მანეთად აფასებს. ნაციონალისტური ტენდენცია აიძულებს ბანკს იზრუნოს, რომ მიწის ფასი არ გაიზარდოს, კლასსური ტენდენცია კი პირდაპირ წინააღმდეგს მოითხოვს იმისაგან: ეს ისეთი ცხადი და ღრმა წინააღმდეგობაა, რომ აქ შეთანხმება ყოვლად შეუძლებელია და ან ერთმა ტენდენციამ უნდა დასძლიოს ან მეორემ. ჩვენის დაკვირვებით მთავრობის ადგილობრივ საადგილმამულო პოლიტიკაში ნაციონალისტური ტენდენცია თანდათან იმარჯვებს, კლასსური ტენდენცია სუსტდება; ქართველი თავადაზნაურობა შურის თვალით უცქერის რუსეთის თავად-აზნაურობას და ნაღვლობს, რომ ჩვენში მიწის ფასმა ისე არ აიწია, როგორც რუსეთში. ამასთან ერთად მჭიდროდ დაკავშირებულია თავად-აზნაურთა მამულების დავალიანების საქმეც. რაკი რუსეთში მიწის ფასებში ხელოვნურად გაბერეს, იქ თავად-აზნაურთა მამულების დავალიანება ისე საგრძნობელი აღარ არის; უკიდურეს შემთხვევაში მემამულე გაჰყიდის თავის მიწას, გაისტუმრებს ვალს და ფულის თანხასაც გაიჩენს. ჩვენში ეს მემამულისთვის შეუძლებელია. სწორედ ამიტომ მამულების დავალიანება ეხლა ჩვენებურ თავად-აზნაურობისთვის უკიდურეს გაჭირვებას წარმოადგენს: ვალის გაძლოლა არ შეუძლიან, მამულის გაყიდვა კი არაფერს ან თითქმის არაფერს სარგებლობას არ უქადის.

დიდი ნაწილი ქართველ თავად-აზნაურთა მამულებისა ეხლა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკშია დაგირავებული. ამ ბანკში შარშან სავალდო გადასახადთა შეუტანლობისა გამო საჯარო ვაჭრობისთვის დანიშნული იყო მარტო ტფილისის გუბერნიაში 155 ათასი დესეტინა; ამ მიწებზე ოთხ მილიონამდე ძირითადი ვალი ირიცხებოდა. ნამესტნიკის განკარგულებით, შარშან ეს მამულები საჯარო ვაჭრობაში არ ჩაუგდიათ; ნამესტნიკი დაეხმარა და თავად-აზნაურობა ერთი წელიწადი თავისუფლად სუნთქავდა; ეხლა, 13 დეკემბრისთვის, ეს მამულები ისევ საჯარო ვაჭრობისთვის არის დანიშნული. თუნდაც რაიმე მიზეზისა გამო წელსაც ასცდეთ ამ მამულებს გაყიდვა, ერთის ან ორის წლის შემდეგ ისინი აუცილებლად გამოეცლებათ ხელიდან ჩვენს თავად-აზნაურებს. მიწა იმათ ხელში აღარ ჩერდება. თავადაზნაურობა ნებით თუ უნებურად ამ ფაქტს უნდა შეურიგდეს. მიწის პატრონი უნდა შეიცვალოს საჭიროა მხოლოდ, რომ ახალი პატრონი საქართველოს მამულებისა ქართველი მიწის მუშა, ე. ი. ქართველი გლეხობა შეიქნეს. როგორ და რა გზით უნდა მოხერხდეს ეს—აი საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ მოითხოვს პასუხს. ამ საკითხზე ჩვენ წინადაც ხშირად გვქონია საუბარი მკითხველთან, მომავალშიაც გვექნება. ეს კია. რომ ამ საქმეში იმდენად გაზეთის ფურცლებიდან მუსაიფი არ არის საჭირო, რამდენადაც პრაქტიკული მოქმედება.

აკაკის იუბილეი

ნადიმი. 1„ დეკემბერს „ტფ. კრუჟოკის" დარბაზში პატივისმცემლებმა ნადიმი გაუმართეს მგოსანს აკაკი წერეთელს. დაესწრნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწენი და სხვა. წარმოითქვა მრავალი სიტყვა და სადღეგრძელო. ნადიმმა მხიარულად ჩაიარა. სხვათა შორის სიტყვები წარმოსთქვეს ს. მდივნმა, კ. აბაშიძემ, გრ. რობაქიძემ, ვ. ღამბაშიძემ და სხვებმა.

აკაკის წასვლა ქუთაისს. დღეს საღამოთი ქუთაისს მიემგზავრება აკაკი წერეთელი. როგორც ვიცით, კვირას ქუთაისში გაიმართება საიუბილეო დღესასწაული.

ლექცია. გრიგოლ რობაქიძე ლექციას აკაკის შესახებ ქუთაისში წაიკითხავს ხვალ, 13 დეკემბერს.

საჩუქრები. სხვა საჩუქრებს შორის 7 დეკემბერს მგოსანს სამეგრელოსა, ლეჩხუმისა და სვანების წარმომადგენლებმა, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა პატარა ბავშვებმა მიართვეს დაფნის შტოებისაგან შეკრული პატარა კონა, რომელზედაც ასხმული იყო სურათები მეცხრამეტე საუკუნის ქართველ გამოჩენილ მწერლებისა, პუბლიცისტებისა და საზოგადო მოღვაწეებისა ძირს თაიგულზე მიმბმულია ვერცხლის ფიცარი. ფიცარზე თავში დახატულია ამომავალი მზე და ზედ ჩონგური და სხვა საკრავებია ამოქანდაკებული. საჩუქარს რასაკვირველია, შესაფერი წარწერა აქვს.

ძვირფასი საჩუქარი მიართვა იუბილიარს აგრეთვე ალექსანდრა მამუკას ასულმა ქერივმა მელიქიშვილისამ. საჩუქარი წარმოადგენს დიდს ვერცხლის წყლის ჰურჯელს, გარედან მოოქრულს.

საჩუქრები და ადრესები გამოფენილია წ. კ. საზოგადოების სადგომში.

მისალოცი დეპეშები. იუბილიარმა, სხვათა შორის, შემდეგი დეპეშები მიიღო:

მაჰმადიანთა სამღვდელოება და განმანათლებელი საზოგადოება „საადეტი", ულოცავენ კეთილშობილ თანამემამულეებს ქართველებს კავკასიის პოეტის და სახალხო მოღვაწის აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის იუბილეის გამო. ამ იუბილეის სახსოვრად „საადეტის" საზოგადოებამ გადასწყვიტა, დაამშვენოს თავისი ბიბლიოთეკა ქართული ლიტერატურის ნიმუშებით: „საადეტის" საზოგადოების თავმჯდომარე **ახუნდ მოლლა ალი აკბერ აბასყული-ზადე**, სასწავლებლის დირექტორი **პრინცი ალაკბარ-ბაგმაუ** და ინსპექტორი **ჰუსეინ-ზადე.**

რედაქცია და გამომცემლობა გაზეთ „ტარრაკისა" ულოცავენ სახელოვან პოეტს და პუბლიცისტს აკაკი წერეთელს, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა ყველა ჩვენთვის ძვირფასს კავკასიას. სალამს ვუძღვნით ერს, ასეთ სახელოვან შვილების გამჩენს. ამაი ნაყოფიერი მოღვაწეობა სათაყვანებელია იმ ელემენტებისათვის, რომელნიც თუმცა ჩამორჩნენ, მაგრამ მოსურნენი კი არიან კვალ და კვალ მიჰყვნენ თავიანთზე უფრო მაღლა მდგომ ძმებს. ისეთი მოღვაწენი, როგორიც არის აკაკი წერეთელი, მთელ კავკასიას ეკუთვნიან და მათი ნაწარმოებების გაცნობა საჭიროა ყველა კავკასიელისთვის. ამ ნაწარმოების შესწავლა საუკეთესო საშუალებაა საერთო სამშობლოს შვილების შესაერთებლად. „ტარრაკი" წინადადებას იძლევა, სახელდობრ ვყოთ ეს დღე იმად, რომ საძირკველი ჩავუყაროთ კავკასიის ხალხთა ცხოვრებისა და ლიტერატურის შესწავლას. გაზეთ „ტარაკის" რედაქცია და გამომცემლობა.

ვულოცავთ მხცოვან იუბილიარს და ვისურვებთ, რომ მისმა ჩანგმა კიდევ დიდხანს აჟღეროს სიმები, გააცხოველოს საუკეთესო იდეალები, განამტკიცოს ნიადაგი, რომელიც აღმოაცენებს თავის გულზე სიყვარულისა და ერთობის მშვენიერ ჰარმონიას. ქართველი ხალხის, ამ დიდებულ კავკასიის შვილების, გენია ეკუთვნის მთლად კავკასიას—დღევანდელი დღე სახსოვრად დარჩება მთელ კავკასიის ისტორიაში. ექიმი **ყარაბეგოვი**, რედაქტორი **ადაევ**, იურისტები **ხოიკი, ამირჯანოვი, ვეზიროვი, ფალავანდოვი,** ექიმები **ნარიმანოვი, ჰუსეინ-ზადე, ახუნდოვი,** ინჟინერი **ჰაჯინსკი, აზიზბეკოვი.**

სპარსელთა კოლონია ბაქოში, დიდად აფასებს რა ქართველი ხალხის ღვაწლსა და სახელს, ბედნიერად სთვლის თავის თავს, მიულოცოს მას სიმართლისა და ჰუმანიზმის მგოსანს აკაკი წერეთლის იუბილეი. ჩვენა გვწამს, რომ ნაწარმოებნი ქართველთა ამ საადისა და აგრეთვე გურჯისტანის სხვა მწერლებისა, სპარსულ ენაზე გადათარგმნილი, თავის ახალისა და ცხოველმყოფელის შემოქმედებით კეთილ გავლენას იქონიებს სპარსელ ახალგაზდობაზე და ამ რიგად ხელს შეუწყობს ამ ორი ერის დაახლოვებას. ჩვენ გადავწყვიტეთ ახლო მომავალში თარგმანების შემწეობით, რამდენადაც შესაძლებელია, ქართულ ლიტერატურის ნაწარმოებნი გავაცნოთ სპარსელებსაც კოლონიის წარმომადგენლნი: **ასადულაევი** და სხვანი.

გულითა და სულით გილოცავთ პატივცემულ პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილეის. იმედი გვაქვს, რომ ბედნიერნი ვიქნებით, ერთხელ კიდევ მივლოცოთ ჩვენ ძვირფას თანამოძმეებს ქართველებს დიდებული პოეტის ასი წლის იუბილეი. **ერევნელი სპარსელები.**

ბაქოელ სპარსელთა საქველმოქმედო საზოგადოება გთხოვთ (თხოვნა მიმართულია ტფ. სპარსელთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის მიმართ), ბაქოს საზოგადოების სახელით ხვალ მიულოცოთ ქართულ ლიტერატურის მხცოვან იუბილიარს აკაკი წერეთელს. გადაეცით, რომ ჩვენ გულითა და სულითა ვინატრით ქართველი ხალხის აყვავებას და მის მწერალთა ნაყოფიერ მოქმედებას. თავმჯდომარე **ქერეიჩი.**

აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილეის გამო, დღეს მაჰმადიანთა განმანათლებელი საზოგადოება „ნაჯადი" შეკრიბა საგანგებო კრებაზე და დაადგინა, ამ შესანიშნავ დღის სახსოვრად თავის პანსიონთან დაარსოს სტიპენდია იუბილიარის სახელობაზე. კრებამ ამას გარდა დაადგინა, მიულოცოს ქართველ ხალხს, რომელიც იძლევა ისეთ მოღვაწეებს, როგორც არის აკაკი წერეთელი, რომელთაც ერთნაირად უნდა აფასებდნენ კავკასიის ყველა ერები თავიანთ უანგარო შრომისათვის სამშობლოს საკეთილოდ, რაიცა ნამდვილ ნიადაგს მოუმზადებს სასურველ ერთობას. თავმჯდომარე „ნაჯად"-ის საზოგადოებისა მამედელირაზუმ-ზადე.

დ. ხონი. 7 დეკემბერს ხონში ვერ მოხერხდა ვერც დილისა და ვერც საღამოს გამართვა. მიზეზი ის იყო, რომ ხონს წარმოდგენისათვის ბინა არა აქვს. წარმოდგენის გამართვა შეიძლება მხოლოდ ადგილობრივ პროგიმნაზიის შენობაში. ნებართვა სამოსწავლო მთავრობისაგან გვიან მოვიდა და ამიტომ იუბილეის დღეს დილის გამართვა შეუძლებელი გახდა. ადგილობრივ ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს და შემდეგ მღვდელმა მოკლე სიტყვით გააცნო ხალხს აკაკის ცხოვრება და ღვაწლი სამშობლო ქვეყნისადმი. ტფილისში იუბილიარის შარადედ მისალოცად გაგზავნილნი იყვნენ დეპუტაციები: ხონის საზოგადოებისაგან—ოთხი კაცი და ქალთა წრისაგან—ორი ქალი. ამას გარდა 7 დეკემბერს სამოსწავლებლო სემინარიის მოწაფეებმა და მარინეს სასწავლებელმა დეპეშებით მიულოცეს იუბილიარს და უსურვეს კვლავ დღეგრძელი [illegible] სამშობლოს საამაყოდ. აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული აქაც მოვიდა, მაგრამ უფასოდ კი არა რიგდებოდა ხალხში, არამედ ცალი თითო შაურად იყიდებოდა. თუმცა ფული აკაკის ფონდის გასაძლიერებლად იყო დანიშნული, მაგრამ ღარიბი ხალხი წიგნაკის სასყიდლად ფულს ვერ გაიმეტებდა. წიგნაკებს ისინი იქონიებდნენ, ვინც აქამდისაც იცნობდა და თაყვანსა სცემდა აკაკის. არ შეიძლება არ უსაყვედუროთ ამის გამო ადგილობრივ საიუბილეო კომიტეტს. წიგნაკებიდან შემოსული ფული ფონდს მაინც და მაინც არას შეჰმატებდა, უფასოდ დარიგებით კი ბევრს თვალები აეხილებოდა და გაიგებდა, ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც მთელი საქართველო ფეხზე დააყენა. საიუბილეო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყდა აკაკის სახელობაზე საღამო გამართონ 28 ქრისტეშობისთვეს და მოიწვიონ თვით იუბილიარი. **ალგიგ.**

ახალციხე. ამ დღეებში, ჩვენში განზრახულია მოხდეს შემდეგი კრებები: 1. სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის „მესხეთი"-ს წესდების განსახილველად გუბერნატორთან წარსადგენად (წესდება უკვე შედგენილია საზ. კრების მიერ არჩეულ კომისიისაგან); 2. წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების დასაარსებლად (ამის შესახებ საკითხი აღიძრა აკაკის საიუბილეო კრებაზე, მაგრამ უდროობის გამო იგი შემდეგისთვის გადადეს); და 3. დასაარსებლად აკაკის სახელობაზე სცენის მოყვარეთა დასისა, (ეს დასი ძველსა და ახალ ნაწილში დასდგამს სახალხო იაფფასიან ქართულ წარმოდგენებს საქველმოქმედო აზრით. ამ დასს, სხვათა შორის გადავცემ ჩემ მიერ მოწყობილ სცენის ნივთებს).

ამ ჟამად ჩვენ სოფლებში, აქა-იქ საქონლის ჭირია. ჯვარხეთშიაც მძვინვარებს ჭირი და ბევრი საქონელი იხოცება. ფუთი პური აქეთ რვა აბაზი, ცხრა აბაზად ფასობს, ქერი-კი ექვს აბაზად. **მესხი კ. გვარამაძე.**

მცხეთა. ამ თვის შვიდში მცხეთის სამთავროს დედათა წმ. ნინოს მონასტერში შესრულებულ იქმნა წირვა და პარაკლისი მხცოვან მგოსნის აკაკის სადღეგრძელოდ. დაესწრნენ მონაზონნი, მონასტრის სკოლის მასწავლებელნი, მოსწავლენი და გარეშე ხალხი. 14 იანვარს მონასტრის სკოლის შენობაში გაიმართება აკაკის საღამო. წაიკითხავენ აკაკის ბიოგრაფიას, იტყვიან ლექსებს და წარმოდგენილ იქმნება რომელიმე პიესა აკაკისა. საღამოს შემოსავალი გადაიდება აკაკის ფონდის გასაძლიერებლად. **აჭაური.**

ს. ბოსლევი (შორაპნის მაზრა). მოუთმენლად მოველოდით 7 დეკემბერს. წინა დღეებში თოვლი და წვიმა იყო, მაგრამ 7 დეკემბერს მშვენიერი ამინდი დადგა. დილითვე ხალხმა იწყო დენა ორ-კლასიან სასწავლებელში. სასწავლებელი წინა დღესვე მორთეს. იუბილიარის სურათი მაღლობზე იდო და შემკული იყო გვირგვინით და მწვანე ფოთლებით. პირველად გადახდილ იქ-

ფელეტონი

რუსთა შორის

სოფლის ადმინისტრაცია და „ქალების შემოწმება".—შორიანი ადგილი და პოლიტიკური დამნაშავეები.—ერთგვარი რეფერენდუმი დონის ოლქში.—ორი ხელი და ქვასი რევიზია.—სასტიკი მდივანი.—ბერების აჯანყება.—მოხელეთა საქმენი საგმირონი.

მეზარება, მკითხველო, ფელეტონის წერა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ —„ძალით ამღერებენ ჰალას ვარდანასაო". ჩემი საქმეც ასეა. მოახლოვდება თუ არა პარასკევი, ჩვენი რედაქტორი მოსვენებას აღარ მაძლევს: რა ჰქენი, ფელეტონი დასწერე თუ არაო. ამ დალოცვილი შვილს ასე ჰგონია, ძალიან საინტერესო იყოს რუსეთის ეხლანდელ ცხოვრებაზე წერა! აი ეხლაც თქვენს მტერსა და დუშმანს, რაც მე წვალებაში ვარ. რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, მომწყინდა რუსეთის ცხოვრების უკულმართობაზე ლაპარაკი. რუსეთის ცხოვრება კი თავიდან ბოლომდის უკულმართობაა.

აი, თუნდაც აქედან დაინახავთ, რომელ სახელმწიფოში სწევს სოფლის მამასახლისი ექიმობას?! იქნება სთქვათ, განა ჩვენში ცოტანი არიან სოფლებში, რომ ექიმობენ, თუმცა მათ უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტი არ დაუმთავრებიათო? მართალია, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენც რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს შევადგენთ და იმავე ბიუროკრატიის გავლენის ქვეშ ვიმყოფებით, მეორე კიდევ—ექიმობაც არის და ექიმობაც. აბა ჩვენში რომელ მამასახლის ან სხვას ვისმეს მოუვა თავში შეამოწმონ ქალები—ქალწულები არიან თუ არა? მე კი არ გამიგონია და თქვენი რა ვიცი. კიდეც რომ ყოფილიყოს ჩვენში ასეთი მამასახლისი, განა ეს თავის მნიშვნელობას დააკარგვინებს რუსეთის ერთ-ერთ სოფლის მამასახლისის საქციელს? მაშ მოვისმინოთ.

სოფ. გრაჩევკაში უპოვნიათ ახლად დაბადებული მკვდარი ბავშვი. სოფლის მამასახლისი იმ წამსვე გამოძიებას შესდგომია. ბევრი უფიქრია და ბოლოს სულ უბრალო საშუალება გამოუძებნია ბავშვის დედის აღმოსაჩენად. მამასახლის სოფლის ყველა ბებიები შეუკრებია, თან გაუყოლებია მწერალი, ექვსი ასის-თავი და ათის-თავი და შესდგომია ქალების გასინჯვას. სოფლის მწერალს უფროსობა უკისრნია: იგი ქალებს ძუძუებს უსინჯავდა, რძე ხომ არა აქვთო. ხშირად ქალებს ქუჩაში აჩერებდნენ და სახალხოდ სინჯავდნენ. ასე შემოიარეს მთელი სოფელი და მაინც დამნაშავე ვერ იპოვნეს. მამასახლის და მის ამალას, აღელვებულს და გაბრაზებულს ასეთი გარემოებით, სახაზინო საარყო დუქნისთვის მიუმართავს და თავის აღელვება და დარდი არაყში მოუკლავს.

ამის შემდეგ ბრძანეთ, რომ რუსეთში ბევრი არაყი ისმისო და საყვედურის ნიშნად თავი გადააქნ-გადმოაქნიეთ. თქვე დალოცვილი შვილებო, კაცის მდგომარეობაში შედით, არც ეგრე ზერელედ ვარგა ლაპარაკი! მაშ რა ექნა მამასახლის და იმის ამალას? არყის დალევის შემდეგ ყველაფერი გადაავიწყდებოდათ და ჩვეულებრივად შემოსძახებდნენ: „внизъ по матушкѣ по Волгѣ"-ს.

* * *

პატარა ხანი დაივიწყეთ სოფელი გრაჩევკა და ტურუხანის მხარეში შევიხედოთ. იქნებ თქვენგანი ბევრი არც-კი იცნობს ტურუხანის მხარეს. ეს არც გასაკვირველია: ტურუხანის მხარე ციმბირის ერთი მივარდნილი კუთხეა. ყველაფრით ეს მხარე გულშემზარავ სურათს წარმოადგენს. ზამთარში აუწერელი სიცივეა. ზაფხულში (2—1 ნახ. თვე) აუწერელი სიცხე, მოკლებული ბუნების ყოველნაირ სიმშვენიერეს. შორს რომ არ წავიდეთ, ტურუხანის სიმშვენიერის დასამტკიცებლად საკმაოა მარტო ის, რომ ადმინისტრაცია პოლიტიკურ დამნაშავეებს „სააგარაკოდ" იქა ჰგზავნის. მშვენიერი მხარე რომ ყოფილიყო, „გულ-კეთილი" ბიუროკრატია ხომ იქაც არ გაგზავნიდა ამ უკანასკნელთ!?

აი, ამ ბუნების ულმობელ სისასტიკესთან ტურუხანის მხრის მცხოვრებთ სხვა უბედურებაც დასტეხიათ. ვერა ნახავთ ქვეყანაზე ვერც ერთ გადამდებ სენს, რომ აქ არა მძვინვარებდეს. თვით შავი ჭირიც-კი გაბატონებულა ამ კუთხეში. ხშირად სადმე წყლის ნაპირას შეჰხვდებით კარავს, სადაც შავი ჭირისგან შეპყრობილი გდია მარტო, უპატრონოდ. მას არავინ არ ეკარება. ახლო ნათესავებიც კი თავს ანებებენ. თვითონ ავადმყოფი საშინელი სანახავია. ადამიანობისა არაფერი აღარ ეტყობა. ასეთ ავადმყოფს დიდი ხნის ფხანისაგან ტყავი სულ დაგლეჯილი აქვს, თმა ჩამოცვენილი; ავადმყოფობისა და მეტადრე უიმედობისგან რაღაც შეშლილივით გამოიცქირება, ტირის, ყვირის, ვილაცას ეხვეწება, ემუდარება, სიცივისგან კანკალებს, შიმშილისგან სუსტდება. არავითარი საექიმო დახმარება მისთვის არ არის. ხუნაგი, ქუნთრუშა, შავი ყვავილი, წითელა, ქარები, თვალის ავადმყოფობანი და სხვა და სხვა სენი აგრძელებს შავი ჭირის მუშაობას.

აი, ასეთ მდგომარეობაში არიან ტურუხანის მხრის მცხოვრებნი და ასეთ ადგილას ჰგზავნიან პოლიტიკურ დამნაშავეებს!..

* * *

რუსეთი დიდია, მკითხველო, და ალბად ამიტომ ვერ აქცევს ბიუროკრატია ყურადღებას ტურუხანის მკვიდრთ. ხოლო სადაც გასწვდება, თავს არა ზოგავს! აქ თუნდა დონის ყაზახთა ოლქი აიღეთ. 1906—07 წელს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ამომრჩევლებმა გადასწყვიტეს, ითხოვონ საერობო თვითმმართველობის შემოღება დონის ყაზახთა ოლქშიაც. მთავრ-ბა ამ გადაწყვეტილებას არ დასთანხმდა და დაადგინა, პირდაპირ ხალხს გამოჰკითხოს—სურს თუ არა მას ერობა.

ეს ერთგვარი რეფერენდუმი გახლავთ. თვითეული სტანიცა თავის აზრს ადგენს ერობის შესახებ. რა გამოვა აქედან, ჯერ ძნელი სათქმელია. მართალია, 30 სტანიცამ უკვე გამოსთქვა სურვილი ერობის შემოღებისა, მაგრამ დონის ყაზახთა ოლქში სულ 176 სტანიცაა. ყველა სტანიცა გულდასმით ეკიდება ერობის შემოღების საქმეს. ამ „რეფერენდუმის" დროს თავი იჩინა ერთმა, ბიუროკრატიისათვის არა სასურველმა მიმდინარეობამ. საქმე იმაშია, რომ ოლქის მმართველობის პროექტით ერობებში უმეტეს ნაწილად თავად-აზნაურნი უნდა მოჰყვნენ. ეს, ცოტა არ იყოს, იწყინეს ყაზახებმა და სადაც კი გამოკითხვა მოხდა, ყველანი თხოულობენ, ყაზახებისათვის ცალკე ერობები იქმნას შემოღებული, რომლებშიაც არავითარ მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ სხვა წოდებანი, მათ თავიანთვის, რაც უნდათ, ის გააკეთონ,—გაიძახიან ყაზახები,—ხელს არავინ შეუშლისო. ამ აზრის მოტივათ ის მოჰყავთ ყაზახებს, რომ ჩვენი შემოსავალი—6,000,000 მანეთი,—თავად-აზნაურობის და გლეხობის შემოსავალზე გაცილებით მეტიაო. ასე თუ ისე, სამხედრო სამინისტრო ამისთანა რამეებს არ მოელოდა. ჯერ გამოკითხულ სტანიცების შეხედულებებიდან სჩანს, რომ თავად-აზნაურობა ოლქში პირველობას დაჰკარგავს და სხვა წოდებაზე მცირე ადგილს დაიჭერს მომავალ ერობის თვითმმართველობაში. მაგრამ იმედია, ბიუროკრატია ამას თავისებურად მოუვლის და ერთგულ აზნაურებს არ დააჩაგვრინებს ხხვებს. იგი თავისებურად შეჰბოჭავს მომავალ ერობის თვითმმართველობას და არავითარ ცოცხალ აზრს არ განახორციელებინებს. ამას ახლო მომავალი დაგვიმტკიცებს, ჩვენ კი ჯერ-ჯერობით ამ მომავალს მოვუცადოთ.

* * *

ბიუროკრატია არც თუ განათლების საქმეს სტოვებს უყურადღებოდ. რა ვუყოთ, რომ ტურუხანის მცხოვრებნი ბუზებივით იხოცებიან, ალბად ასეთია მათი ბედი. ხოლო რაც შეეხება განათლების საქმეს, ამაში ვერავინ უსაყვედურებს ბიუროკრატიას. მართალია, ტურუხანებში განათლება არ შეაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, პოკროვის სკოლებს კი დიდ ყურადღებას აქცევს.

პოკროვში ერთმა ჯგუფმა ორი სკოლა დაარსა—ქალების და ვაჟებისა. მშვენიერი შენობა შეიძინა, ბევრი ჯაფა დახარჯა, მაგრამ ბიუროკრატიის მფარველობა კიდევ სხვაა. ვინ იცის, იქნება რა მიზნით დაარსეს სკოლა ან თითონ რა ხალხია დამაარსებელნი, იქნებ სულ გარყვნან ახალგაზდობა ამ სკოლებში! აი ამის მიზეზით დღემდის ამ სკოლებს არავითარი უფლება არა აქვთ და სხვა და სხვა მიზეზით აბრკოლებენ მათ წინმსვლელობას. უკვე ორი წელიწადია, რაც შუამდგომლობა აღძრა ამ ჯგუფმა სკოლის შესახებ და დღესაც არავითარ პასუხს არ აძლევენ. ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ხუთი რევიზია გაუკეთა ამ სკოლებს და მაინც ვერ გამოირკვა—„კეთილ-საიმედონი" არიან ეს სკოლები თუ არა და აი ეხლა სარატოვის რეალურ სასწავლებლის დირექტორი არკვევს ამას. ვინ იცის, იქნებ დირექტორმა სხვანაირად შეხედოს საქმეს, ამით არ დაკმაყოფილდეს მზრუნველი და მეშვიდე რევიზია უყოს, მეშვიდეს მერვე, მეცხრე და სხვა მოჰყვეს დაუსრულებლად, ასე რომ შეიძლება სკოლები ველარას მოესწრნენ და შრომამ და ჯაფამ სულ ტყუილ-უბრალოდ ჩაი-

მნა პარაკლისი. გალობდა მოსწავლეთა გუნდი. პარაკლისის შემდეგ სასწავლებლის ზედამხედველმა ი. კაპანძემ გააცნო საზოგადოებას იუბილიარი. მერე ბავშვებმა წაიკითხეს რჩეული ლექსები აკაკისა. წაკითხულ იქმნა შემდეგი ლექსები: „კატა", „[illegible]", „ჩემი თხა", „ეფერებოდით [illegible]", „ჩიტი გალიაში", „გაზაფხულის მაურები", „მერცხალი და ბავშვები", „ძუნწი და ღელალი", „დათვის წვეულება", „სიზმარი", „დამური", „ქართველნი და მანგოლნი („ნათელადან"), „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს", „აღარ გვაქვს გრძნობა", „ვედრება", „აშელაცის მგოსნე" და სხვა.

ამ ლექსების კითხვის დროს ხალხი დიდს აღტაცებაში მოდიოდა. დრო-გამოშვებით, ლექსების კითხვის დროს, მღეროდა მგალობელთა გუნდი.

ამით გათავდა დილა. შემდეგ კრება გაიმართა სასწავლებლის შესახებ მოსალაპარაკებლად და ბოლოს დაადგინეს, გაეგზავნათ 14 დეკემბერს ქუთაისში დეპუტაცია იუბილეზე დასასწრებად. **აქაური**

ითხვისი (შორაპნის მაზრა), 7 დეკემბერს ითხვისის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიაში თავი მოიყარა ადგილობრივმა მრევლმა. იყო აგრეთვე სკოლის 60 მოწაფე. გადახდილ იქმნა პარაკლისი აკაკის სადღეგრძელოდ. პარაკლისის შემდეგ მღ. იოს. წერეთელმა ვრცელ სიტყვაში დაასურათა აკაკის 50 წ. მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე. **ე. ნ.**

ს. კახი. 7 დეკემბერს წირვის შემდეგ კახის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელმა ლევან ზაქარიაშვილმა წირვის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა და გააცნო საზოგადოებას მგოსნის აკაკის ვინაობა. ამის შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი. **მ. რ.**

სახელმწიფო სათათბირო

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ჯამაგირი.

მე-29 სხდომაზე სათათბიროს წარედგინა კანონპროექტი ფოსტა-ტელეგრაფის დაბალ მოხელეთა ჯამაგირების გადიდების შესახებ. მთავრობა მოითხოვს ამისათვის კრედიტს—1.270,650 მანეთს და გადაწყვეტილი აქვს ახალი შტატი შემოიღოს მომავალ წლის 1-ლ ივლისიდან. სათათბიროს კომისიის მომხსენებელი **მატიუნინი** აცხადებს, რომ კომისია მომხრეა მთავრობის პროექტისა, მხოლოდ იმ აზრისაა, რომ ჯამაგირების მომატება მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან მოხდესო. მთავრობის წარმომადგენელი—ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მთავარმართველი—განმარტავს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს სამსახურში დასტოვოს მხოლოდ ბეჯითი მოხელენი, რასაც 1-ლ ივლისისთვის შეასრულებს და რომ მომავალ წლის პირველ ნახევრისთვის უკვე აქვს შედგენილი ჯამაგირების განაწილებაო; ამიტომ მოითხოვს, რომ ახალი შტატი მხოლოდ 1-ლ ივლისიდან იქნას შემოღებულიო. **პეტროვ მე-3** ტრუდოვიკების მხრით, **ჩერნოსვიტოვი**—კადეტებისა, **ტომაშევიჩი**—ნაციონალისტებისა და **ბერეზოვსკი**—მემარჯვენეთა მხრით ეთანხმებიან კომისიის წინადადებას. **ტიჩინინი** აღნიშნავს, რომ უფროს მოხელეთაც უნდა მიემატოს ჯამაგირებიო. მღვდელ **სენდერკოს** შემოაქვს წინადადება, რომ ფოსტა-ტელეგრაფის საქმე გადაეცეს გზათა სამინისტროს, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრო უამისოდაც დატვირთულია საქმეებითაო. **კუზნეცოვი** ს.-დემოკრატების მხრით აცხადებს, რომ ს.-დ. ფრაქცია წინააღმდეგია აღნიშნულ პროექტისა ჯამაგირების მომატების შესახებ, რადგან დაბალ მოხელეთა ნივთიერის მდგომარეობის გაუმჯობესება ამ გზით კი არ შეიძლება, არამედ საპროფესიო ორგანიზაციების თავისუფლად მოქმედებითაო.

ბოლოს სათათბიროს უმრავლესობამ მიიღო კომისიის აზრი და დაამტკიცა კანონ-პროექტი. მღ. სენდერკოს წინადადება უარყოფილ იქმნა.

ტერრორის მსხვერპლთა დახმარება.

შემდეგ სათათბიროს წარედგინა კომისიის პროექტი იმის შესახებ, რომ რევოლიუციონერთა ტერრორისაგან დაზარალებულთ ხაზინიდან შემწეობა აღმოეჩინოს ხოლმე. მომხსენებელი **თავ. ტენიშევი** იცავს კანონპროექტს. ტრუდოვიკი **ბულატი** წარმოადგენს თავის ფრაქციის ფორმულას, რომლით პროექტი უარყოფილ უნდა იქნას: ასეთ კანონით მთავრობა და სათათბირო ხელს შეუწყობენ ჯაშუშობის განმტკიცებასო. ტერრორთან ბრძოლა ჟანდარმებისა და პოლიციელებისათვის ჯილდოს მიცემით-კი არ შეიძლება, არამედ ტერრორის მიზეზთა მოსპობით. პროექტი უყურადღებოდ სტოვებს იმ პირთ, რომელნიც დაზარალდნენ მთავრობის აგენტების ტერრორისაგანაო. მომხსენებელი **თავ. ტენიშევი** შენიშნავს, რომ კანონპროექტის მეორე მუხლი ნებას იძლევა ასეთ პირთაც მიეცეს შემწეობაო. მღვდლები **სტანისლავსკი და მანკოვსკი** მხარს უჭერენ იმ კანონ-პროექტს, რომელიც ღირსეულ ჯილდოს უნიშნავს მეფისა და ტახტისათვის თავგანწირულთაო. გრძელ სიტყვაში **მაკლაკოვი** არკვევს კანონ-პროექტს და აღნიშნავს მის უვარგისობას, როგორც უფლებრივს, ისე მორალურს. დიდ ბოროტმოქმედებათ გამოიწვევს ეს კანონი პრაქტიკაში, რადგან იმის განხილვა, თუ რომელი მოხელე დაზარალდა რევოლიუციონურ მოქმედებთაგან და რომელი ჩვეულებრივ ბოროტმოქმედებთაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთაგან იქნება დამოკიდებულიო. დაკანონება ამისი არ შეიძლება; თუ გნებავთ, შეადგინეთ დაზარალებულთა სია და ერთ დროებითი დახმარება აღმოუჩინოთ მართლა დაზარალებულთ რევოლიუციის დროს იმის განურჩევლად, მარცხენა თუ მარჯვენა ტერრორისაგან დაზარალდა ესა თუ ის პირიო. **პოკროვსკი მე-2** ს.-დ. ფრაქციის მხრით წინააღმდეგია კანონ-პროექტისა. სათათბიროს უმრავლესობის წყალობით თან და თან ძლიერდება მთავრობის ტერრორიო. ოქტომბრისტი **პოლოვცევი** მხარს უჭერს კანონპროექტს. ვის უნდა მოსთხოვონ, მაშ, დაზარალებულებმა დაკმაყოფილება? რევოლიუციონერებს, სოციალისტებს თავის წვრილ ბროშიურებისა მეტი არა გააჩნიათ-რა ჯიბეში და ნუ-თუ სახელმწიფო მოვალე არაა თავის თავგანწირულ აგენტებს მფარველობა გაუწიოს და დაეხმაროსო.

კამათის დასრულება გადაიდო შემდეგ კრებისთვის.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 დეკემბერი.

სპარსეთი

თავრიზი. ეინულ-დოვლეს ბანაკში, ზორგამუი-სალთანეს უფროსობით, მივიდა ყარადაღის ცხენოსან ჯარის ნაწილი.

გაძარცვეს რუსის ქვეშევრდომის მამედოვის ქარავანი ხალიჩებისა. წაიღეს 15,000 მანეთის საქონელი.

ენჯუმენმა სტამბოლიდან მიიღო წერილი. შაჰის ყოფილ საჭურისის სედიკულ-ხერესი, რომელიც შარშან გაიქცა თავრიზიდან. სედიკულხერე ჰპირდება თავრიზის ენჯუმენს, რევოლიუციისათვის მოგაწვდით თექვსმეტ ათას თოფსაო, აქედან რვა ათასს უფასოდ, ხოლო რვა ათასს ბაზრის ფასზეო.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: იმ ნაციონალისტთაგან, რომელთაც ოსმალეთის მისსიას შეაფარეს თავი, დღეს მისსიაში არის კიდევ 150 კაცი. ჯარი მისსიის მახლობლად დაბანაკდა, რომ ახალი არავინ შეუშვას იქ.

თავრიზი. მარაღაში გუბერნატორად დანიშნულმა შეჯა-ულ-დოვლემ წესიერება აღადგინა და ჯარს ამზადებს თავრიზისკენ გასალაშქრებლად. ეინულ-დოვლე ჯერ თავს არ ანებებს ბასმინჯას. ენჯუმენის გაზეთში დაბეჭდილია წერილი „ხალხის ტირილი". ამ წერილში რუსეთის კონსულისაგან თხოულობენ, გაიყვანოს ადერბეიჯანიდან ჯულფის საბაჟოს უფროსი, როგორც რეაქციონერი, მოსპოს მოსამსახურეთა შორის ტელეფონით მოლაპარაკება იმ ამბების შესახებ. რომელიც თავრიზში ხდება, და გადასცეს ენჯუმენს, სამართალში მისაცემად, დარაღიზის საბაჟოს უფროსი.

თეირანი. ოსმალეთის საელჩოში თავშეფარებულნი სპარსელი კონსტიტუციონალისტები განაგრძობენ იქ ყოფნას. რამდენიმე ვაჭარი მივიდა ავსტრიის საელჩოში. შაჰი თანახმაა გამოსცეს ბრძანება. რომლითაც უნდა მიენდოს ახლად დაარსებულ მეჯლისს ახალ საარჩევნო კანონების შემუშავება, მაგრამ შაჰი ელის, რომ კონსტიტუციონალისტები გამოვიდნენ ოსმალეთის საელჩოდან, რომ ეს ძალდატანებულად არ ჩათვალოს ხალხმა. ოსმალეთის საელჩოს გარს ახვევიან ჟანდარმები, იქ არავის არ უშვებენ.

თეირანი. სპარსეთის მთავრობამ გამოუცხადა ოსმალეთის წარმომადგენელს, რომ სპარსელ კონსტიტუციონალისტების დამალვა საელჩოში არავითარ სარგებლობას არ მოუტანსო. სპარსეთის სადრაზამმა (პირველმა მინისტრმა) არ მიიღო ოსმალეთის წარმომადგენელი.

ოსმალეთი

სტამბოლი. რუსეთის ელჩმა რუსეთის ნოტა ჩააბარა დიდ ვეზირს. ამ ამბავს დაისწრო რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი.

ახალგაზდა ოსმალთა გაზეთები განაგრძობენ კიამილ-ფაშას გაძლიერებულ გაკიცხვას. მათ ხილმი-ფაშა უნდოდათ დიდ ვეზირად.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატას თავმჯდომარეობს ნეკი-ეფენდი. გააუქმეს არჩევანი ბენგაზელ დეპუტატის შეიქ-ელ-მუღისა, რომელიც პალატამ არა კეთილაიმედოდ სცნა; იგი ჯაშუშად ყოფილა ძველი რეჟიმის დროს, პალატა შეუდგა თავმჯდომარის არჩევანს ბარათებით. სთვლიან ბარათებს. ყველაზე მეტი ბარათი ამოუვიდა ახმედ-რიზას: იგი თითქმის ყველას ჩაუწერია.

ბალკანეთი

ბალკანეთი. 11 დეკემბერს გაზეთ „როსიაში" დაიბეჭდება გარეშე საქმეთა მინისტრის ცირკულიარული დეპეშა, რომელიც 6 დეკემბერს გაეგზავნა რუსეთის წარმომადგენელთ ბერლინსა, ვენასა, პარიზსა, ლონდონსა, რომსა და სტამბოლში. შინაარსი ამ დეპეშისა: წელს 24 სეკტემბერს და 7 ოქტომბერს ავსტრო-უნგრეთის ელჩმა გრაფ ბერხტოლდმა გადასცა რუსეთის მთავრობას ცირკულიარული დეპეშა. ამ დეპეშით ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი ერენტალი ატყობინებდა ავსტრო-უნგრეთის წარმომადგენელთ იმ ორ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ვენის კაბინეტს მიუღია: ერთი არის ის, რომ ავსტრიის მთავრობამ ხელი აიღო თავის უფლებებზე ნოვობაზარის სანჯაყის შესახებ, მეორე ის, რომ იგი ბოსნია-ჰერცოგოვინის შესახებ სრულ თავისუფლებას იტოვებს. ამავე დღეს გამოქვეყნდა ბუდაპეშტში მთელი რიგი აქტებისა, რომლებითაც ბოსნია-ჰერცოგოვინა ავსტრიის სამფლობელოდ იქმნა გამოცხადებული. ორი დღის წინად ბოლგარიის მთავარმა ფერდინანდმა მეფის ხარისხი მიიღო და ბოლგარია დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა. ორივე აქტი არსებითად სცვლის იმ განწყობილებას, რომელიც სუფევდა ბერლინის ხელშეკრულებით. ჯერ ისევ 1871 წელს სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ლონდონის კონფერენციაზე, სავალდებულოდ აღიარებს, რომ ყოველი სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს თანახმად ტრაქტატისა, და თუ საჭირო იქნება რაიმე ცვლილების შეტანა ამ ტრაქტატში, ესეც სახელმწიფოთა მეგობრულ მოლაპარაკებითა და შეთანხმებით უნდა მოხდეს. ყველა ამის გამო ჩვენ ვცდილობდით, გვემოქმედნა თანახმად ხელშეკრულებისა. ასევე პირნათლად ვასრულებდით ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულებას. თუმცა ეს ხელშეკრულება როგორც რუსეთს, ისე ბალკანეთის სახელმწიფოებს, რომელთაც ჩვენ ჩვეულებრისამებრ ყოველთვის თანაგრძნობით ვეპყრობოდით, მძიმე უღელს ადებდა, მაგრამ არას დროს არა ვცდილვართ დაგვერღვია ხელშეკრულება. მცირედი გზის აცდენაც ჩვენის მხრივ მეტად სახიფათო ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის. ბოლგარიისა და ავსტრო-უნგრეთის საქციელმა ბალკანეთის კუნძულზე საქმის ვითარება მეტად გაამწვავა და მთელი ევროპა ფეხზე დააყენა. ოსმალეთმა, როგორც დაზარალებულმა სახელმწიფომ, არ დააყოვნა და სახელმწიფოთა წინაშე ბერლინის ხელშეკრულებათა დარღვევისათვის ფორმალური პროტესტი განაცხადა ბოლგარიისა და ავსტრო-უნგრეთის მოქმედების წინააღმდეგ. ეს პროტესტი მით უფრო საყურადღებო იყო, რომ ოსმალეთი, რომელიც შინაურ საქმეებში იყო გართული, საჭიროებდა, გარედან სიფრთხილით მოპყრობოდნენ და ზნეობრივი დახმარება გაეწიათ. ამიტომ რუსეთის ელჩს სტამბოლში დავევალა, გადასცეს ოსმალეთისათვის მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ბერლინის ხელშეკრულება სახელმწიფოების დაუთანხმებლად არ შეიცვლებაო. ასეთივე განცხადება წარუდგინეს ოსმალეთს სხვა სახელმწიფოებმაც. ოსმალეთის აზრმა კონფერენციის მოწვევის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა გაზიარება გამოიწვია სახელმწიფოთა შორის. აზრთა გაზიარებამ გამოარკვია, რომ მომხდარმა ამბებმა დიდი ცვლილება შეიტანა ბალკანეთის ნახევარ კუნძულის—არსებულ მდგომარეობაში. ამიტომ კონფერენციამ უნდა განიხილოს სხვა საკითხებიც, რომლებიც თხოულობენ სახელმწიფოთა ყურადღებას. საჭიროა გადავსინჯოთ ის დადგენილებანი ბერლინის ხელშეკრულობისა, რომლებმაც დროთა ვითარების გამო პირვანდელი მნიშვნელობა დაჰკარგეს. საჭიროა აგრეთვე გამოვძებნოთ საშუალება, რომ ოსმალეთის და ბალკანეთის სახელმწიფოების სამართლიანი ინტერესები დაკმაყოფილდეს. თქვენ უკვე იცნობთ იმ ცხრა მუხლს კონფერენციის პროექტისას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფოთა შეთანხმებას. ეს პროექტი აგერ ორი თვეა სახელმწიფოთა შორის დაუსრულებელ კამათის საგნადაა გადაქცეული და სახელმწიფონი ჯერაც ვერ დასდგომიან საბოლოო გადაწყვეტილებას. უმთავრესი მიზეზი ამ შეუთანხმებლობისა იყო ის, რომ ავსტრია და რუსეთი ვერა თანხმდებოდნენ მომავალ კონფერენციის პროგრამის შესახებ. ვენის კაბინეტი თანახმა იყო კონფერენციის პროგრამაში აღნიშნული ყოფილიყო საკითხები შესახებ ნოვობაზარის სანჯაყისა და ბოსნია-ჰერცოგოვინისა, მაგრამ კამათი კი არა ყოფილიყო მათზე. რაკი მოლაპარაკება ავსტრიასა და ოსმალეთს შორის უკვე სწარმოებს და შესაძლებელია ორი სახელმწიფო დამოუკიდებლად შეთანხმდნენ, კონფერენციამ, ავსტრიის მთავრობის აზრით, მხოლოდ სახეში უნდა მიიღოს ის ორი საკითხი და გააუქმოს ბერლინის ხელშეკრულობის ერთი მუხლი. რუსეთის მთავრობა არ ეთანხმება ასეთ შეხედულებას. შეუძლებელია ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ ავსტრო-უნგრეთს ჯარი ჰყავს დაბანაკებული ნოვობაზრის სანჯაყში და ბოსნია-ჰერცოგოვინას ითვისებს არა ოსმალეთთან კერძო მოლაპარაკებით, არამედ ბერლინის ხელშეკრულობის ძალით. შეუძლებელი იყო დაგვერღვია ავსტრიის უფლებები, ბერლინის ხელშეკრულების მიერ მინიჭებული, თუ ყველა სახელმწიფონი არ გადასინჯავდნენ ამ ხელშეკრულებას. ეს მაგალითი ისეთივეა, როგორიც 1871 წლისა იყო, როდესაც შემუშავებულ იქმნა ის საერთაშორისო უფლებები, რომელთა საფუძველზედაც ჩვენ ვემყარებით. 1871 წ., ცალმხრივის აქტის გამო, რომლითაც რუსეთმა გამოაცხადა თავი თავისუფლად პარიზის ხელშეკრულებათა ზოგიერთ მუხლებისაგან, აღიძრა საკითხი კონფერენციის მოწვევის შესახებ. სახელმწიფოებმა სურვილი განაცხადეს, მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციაში, მხოლოდ მისი გადაწყვეტილებანი წინდაწინვე არ უნდა ყოფილიყო რითიმე განსაზღვრული. ეს აღნიშნა კონფერენციის თავმჯდომარემ ლორდ გრანვილმა და განაცხადა, განსახილველი საკითხები უნდა განხილულ იქმნენ წინად აღებულ აზრის გარეშე და აზრთა თავისუფალ გაზიარებით. თუმცა ავსტრიისა და ოსმალეთის მოსალოდნელი შეთანხმება საქმეს წინ წასწევს, მაგრამ საკითხს ვერ გადასწყვეტს ისე, რომ იმის შესახებ აზრთა გაზიარება არ იყოს საჭირო. პეტერბურგის კაბინეტის აზრით კონფერენცია მარტო ბერლინის ხელშეკრულების მე-25 მუხლის გამოცვლით არ განისაზღვრება. ამ მხრივ ჩვენ ისევ ბერლინის ხელშეკრულებას შევხებით, როდესაც მარტო მე-11, 13 და მე-14 მუხლები კი არ იყო შეცვლილი, ცალკე ტრაქტატიც კი იყო შეკრული, რომელმაც ცვლი-

---

არის. ყველაფერი მოსალოდნელია. ბევრ ამისთანა შრომას ჩაუვლია მუქთად რუსეთში და ესეც მათ მიემატოს, არა უშავსრა. ერთით კი აჰა, პოკროველების მუშაობამ მუქთად ჩაიაროს! ამ დალოცვილი შვილებს აქამდის ვერ გაუგიათ, რომ ბიუროკრატია უმათოდაც იზრუნებს და მათი მიშველება საჭირო არ არის! ეს „გაკვეთილი" იქნება და შემდეგისთვის თავს მიანებებენ „ილიუზიებს"!!

* * *

ა. ნ. კრუპენსკის, ბესარაბიის საგუბერნიო ერობის მდივნის საქციელს კი ხელს არავინ შეუშლის, პირიქით, თავზე ხელსაც გადაუსვამენ და მკერდს ჩინ-ორდენებით დაუმშვენებენ. ამაში დარწმუნებული იყავით. „კეთილ საქმეს" ვინც გააკეთებს, მას რუსეთში ხელის შემშლელები არც ჰყოლია და არც ეყოლება! ბესარაბიის საგუბერნიო ერობის გახსნისთანავე ერობის მდივანმა პრესის წარმომადგენელნი დატუქსა. „გიცხადებთ კრების თავმჯდომარის კრუპენსკის სახელით, — მიმართა მდივანმა პრესის წარმომადგენლებს, —რომ თუ გაზეთებში გადასხვაფერებით მოათავსებთ ანგარიშებს, ფეხსაც აღარ შემოგადგმევინებთ, აქ თუ შემოხვალთ, я Вас!..ო ალბად, გვერდების ჩამტვრევით დაემუქრა, რადგან რედაქტორებისა და თანამშრომლების გვერდების ახურება, მაინც და მაინც, ბევრი არაფერია. მე ვიცი, გლობაჩევმა თუ ოდესაში საქვეყნოდ რედაქტორი და გაზეთის თანამშრომელი დაზილა, ბევრი რამ უყვეს. მოდი და ნუ გათამამდება მდივანი!

გაზეთებსაც, ცოტა არ იყოს, შეშინებიათ და უკან დაუხევიათ. ან-კი რაზე უნდა აიტკიონ აუტკივარი თავი. კრუპენსკი ჯერ ანგარიშის დაწერამდე დაემუქრა გაზეთის თანამშრომლებს და რომ დაეწერათ, მაშინ რაღას იზამდა. იქნებ ახირებული ცენზორიც გამომდგარიყო მდივანი და გადუსხვაფერებელი გადასხვაფერებულად მოსჩვენებოდა.

ასე თუ ისე, გაზეთი „ბესარ. ჟიზ." უცხადებს კრუპენსკის, ჩვენი თანამშრომელი აღარ დაესწრობა კრებას; არაფრად საინტერესო არ არის იმ ფეხ-მოტეხილ სკამზე ჯდომა, რომელსაც თქვენის გულკეთილობით გაზეთის თანამშრომელს მიართმევთ ხოლმე, მაგრამ, დასძენს გაზეთი, ჩვენ მაინც დავსწერთ ერობის კრებაზე იმას, რასაც სხვა გზით გავიგებთო. სწორედ ახირებული ხალხი ყოფილა ამ გაზეთის რედაქტორიც და თანამშრომლებიც. აბა ეხლა გაბრაზდებიან კრების თავმჯდომარე და მისი მდივანი, თორემ აქამდის რა იყო! თუ აქამდის კრებას დაესწრებოდნენ და გადასხვაფერებულ ანგარიშს მოათავსებდნენ, მდივნის აზრით, ეხლა ხომ უფრო გადარეულად დასწერენ!

* * *

თავი დავანებოთ ერობებსაც, ექიმ—მამასახლისებსაც და სხვა ამისთანებსაც. აქ რუსეთისთვის არა ჩვეულებრივი არაფერია. ერთად-ერთი „ღირსება" რუსეთისა ის იყო, რომ სარწმუნოება მტკიცედ იყო დაცული. რუსებმა თავიანთ ქვეყანას „წმინდა რუსეთი"-ც კი უწოდეს. რუსის გლეხის ვერც ერთ ოჯახს ვერა ნახავთ, რომ ორი ან სამი ხატი არ ეკიდოს სახლში. არც დილას, არც საღამოს არ გაუშვებს რუსის გლეხი, რომ არ ილოცოს. კვირა-უქმეობით ხომ ნუღარ იტყვით. საყდარში ტევა აღარ არის ხოლმე. მერე როგორ მოირთობა გლეხი ეკლესიაში წასვლის დროს, რაც კი რამ კარგი აქვს, ამ დღეს იცვამს. შედარებით, სამღვდელოებიც მორწმუნე ჰყავდათ. არა მგონი, სადმე იმდენი მონასტერი იყოს რამდენიც ეხლა რუსეთშია. აქამდის ბიუროკრატია იმითი მაინც იყო კმაყოფილი, რომ სამღვდელოება და, განსაკუთრებით, ბერები მისი ერთგულები იყვნენ და თავი დღეში ვერ მოიფიქრებდა ბიუროკრატია, რომ ბერებიც „კრამოლნიკები" გამოდგებოდნენ. მაგრამ რას არ მოესწრება კაცი! თურმე ნუ იტყვით, მოსკოვის ყველა წმიდის მონასტრის ბერები, როგორც ბაქოს გაზეთებს ატყობინებენ, აჯანყებულან—ეხლანდელი წინამძღვარი არ გვინდა და სხვა დაგვინიშნეთო. ჰმ! ბერებიც კი აჯანყებულან ამ დალოცვილ რუსეთში და სხვამ რაღა უნდა ჰქნას? ესეც კი, რომ სულ ამ რევოლიუციონერების ბრალია. მათი მაგალითით ამ დაწყევლილმა ბერებმაც კი ისარგებლეს! ტყუილად კი არ შემოიღეს სამხედრო წესები და სხვა ამისთანა ბედნიერებანი! აბა, თუ ღმერთი გწამთ, ვინ მოიფიქრებდა, რომ ბერებიც „ბუნტობას" დაიწყებდნენ. ეს ხომ საზღვარს გადასვლაა. წინა ფელეტონში ტყუილად კი არა ვთქვით, ბიუროკრატიის მფარველი საზოგადოება დავაარსოთ მეთქი.

მოდი შენ და ნუ შეიბრალებ ბიუროკრატიას! ამ დალოცვილ რუსეთში დაჩაგრულებს არავინ აქცევს ყურადღებას, თორემ განა აქამდის კი არ უნდა ყოფილიყო ამისთანა საზოგადოება.

* * *

სადაც ბერებიც არეულობას ახდენენ, იქ კაცს რაღა უნდა გაუკვირდეს, მაგრამ რუსეთის ამ ბოლო თვეების ცხოვრებამ ყველაფერ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ბოლო დროს რუსეთის მოხელეების ბოროტმოქმედებანი აუწერელის სიჩქარით გამოიფინენ სინათლეზე. მოსკოვის ადმინისტრაციის მიერ ხალხის ცარცვა-გლეჯა, თურქესტანის რევიზიის სურათები, სახელმწიფო ბანკში ფულის გაფლანგვა, საზამთრო სასახლის წიგნ-საცავის გაცარცვა, საზღვაო შემნახველი კასები, საკრედიტო დაწესებულებიდან კუპონების წაღება, მოსკოვის სასპორტო საზოგადოების ფულის გაფლანგვა, ბაგშთა, თავშესაფარიდან ფულების გაფლანგვა, თავად შჩეტინინის საქმე, ეხლახან აღმოჩენილი პორტარტურში დაკარგული 10 მილიონი მანეთი „დობროვოლნი ფლოტის" სასწაულები, გენერალ ტოლმაჩევის მიერ წაყვანილ ბოქაულ მიქიაშვილი საქმენი—საგაირონი (12,000 მან. ჩაჯიბვა) საინტენდანტოებში ქურდობა, პეტერბურგის პოლიციის მოქმედებანი და სხვანი და სხვანი და სხვანი. ახლა ეს იკითხეთ, რამდენია კიდევ აღმოუჩენელი. გაზეთების სიტყვით, მთავრობა ზოგიერთი სხვა გუბერნიების რევიზიასაც აპირებს, ასე რომ ახლო მომავალში ზემოდ ჩამოთვლილებს კიდევ ბევრი რამ მიემატება. იმედია! **მ. ხ.—ლი.**

ლება შეიტანა პარიზის საერთაშორისო ხელშეკრულებაში. ამიტომ მომავალმა კონფერენციამ, თუ სახელმწიფოები მორიგდებიან ბოსნია-ჰერცოგოვინის შესახებ, ბერლინის ხელშეკრულობისა მარტო მე-25 მუხლი კი არ უნდა შეიცვალოს, არამედ უნდა შეიმუშაოს ამის მაგიერი მუხლი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს ბოსნია-ჰერცოგოვინას ახალ მდგომარეობას. რუსეთისა და ავსტრიის მთავრობებს შორის არსებული აზრთა სხვა და სხვაობა ცოტათი იცვლება. ვინაიდან მიღებული დეპეშაისე დაბეჯითებით აღარ თხოულობს ბოსნია-ჰერცოგოვინის საკითხის გამოყოფას. ავსტრიის მთავრობა ეხლა იუწყება: მთავრობებს კონფერენციამდე შეუძლიანთ იქონიონ აზრთა თავისუფალი გაზიარება არსებითად იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც ეს მუხლები შეეხება. ეს აზრთა გაზიარება რაიმე ფორმულას მოგვცემს, რომელიც სწორედ განსაზღვრავს კონფერენციაზე კამათს. ჩვენის აზრით, აზრთა ასეთი გაზიარება უხერხულია და საქმესაც დააგვიანებს. მეორეს მხრივ, ეს გზა ყურადღების ღირსია იმ მხრივ, რომ შემუშავებული ფორმულა გაადვილებს კამათს კონფერენციაზე და საქმეს ძლიერ არ გაამწვავებს. ამას გარდა ესეთი გზა სავსებით ეთანხმება იმ საფუძველს პარიზის ხელშეკრულებისას, რომელსაც ჩვენ ვემყარებით—სახელდობრ—ყველა საკითხი, რომელიც პროგრამაში შედის და მათ შორის საკითხი ბოსნია-ჰერცოგოვინას შესახებაც, რაკი საერთო ევროპიული ხასიათისანი არიან, შეუძლებელია შეიცვალონ, თუ ყველა სახელმწიფომ თანხმობა არ განაცხადა. ამიტომ რუსეთის მთავრობა, გამსჭვალული მშვიდობიანურის გრძნობით, იმ აზრისაა, რომ არაფერი სთქვას წინააღმდეგ იმ წესებისა, რომელიც შეუმუშავებია ავსტრიის მთავრობას. ჩვენ მივმართეთ ვენის მთავრობას, რომ თავისი პროექტი შეატყობინოს სხვა სახელმწიფოებსაც. თუ სახელმწიფონი განაცხადებენ სურვილს პროექტის მიღებაზე, რუსეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გამოსთქვამს თავის აზრს კონფერენციის პროგრამის იმ მუხლების შესახებ, რომლებსაც რუსეთისათვის მნიშვნელობა ექნება. კეთილი ინებეთ და წაუკითხეთ ეს დეპეშა გარეშე საქმეთა მინისტრს და ამისი პირი დაუტოვეთ მას, თუ მოისურვებს.

საზღვარ-გარეთ

ნიუ-იორკი. „ასსოშიედეტ-პრესს" კარაკასიდან ატყობინებენ: ვენეცუელის რესპუბლიკაში პრეზიდენტი კასტრო გადააყენეს. მას ჰბრალდება მონაწილეობის მიღება ვიცე-პრეზიდენტის გომეცის წინააღმდეგ შეთქმულებაში. შეთქმულებმა 5 დეკემბერს თათბირი გამართეს გარბირას გუზმანის ბინაზე. გუზმანი წინად კასტროს ნაბინეტში მთავარ სეკრეტრად და თვით კასტროს რწმუნებულად იყო. ამათ უნდოდათ, მოეკლათ ვიცე-პრეზიდენტი გომეც, გარეშე საქმეთა მინისტრი პაული, გენერალი ბაპტისტი და მრავალნი სხვანი და ხელთ ჩაეგდოთ მართვა-გამგეობა. შეთქმულების შესრულება მინდობილი ჰქონდა კასტროს ყოფილ მდივანს კარდენასურ. გომეცმა, გაიგო რა შეთქმულების ამბავი, მარტოკა წავიდა აჯანყებულ პოლკის ყაზარმაში და დააპატიმრა პოლკის უფროსი—კასტროსი, შემდეგ დააპატიმრა კარდენასი. დანარჩენნი წევრი შეთქმულებისა დააპატიმრეს გომეცის მეგობრებით. ქუჩებში ხალხი სიხარულით მიეგება ამ ამბავს. გომეცმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცნობებს ხალხს იმას, თუ როგორ გაიგო შეთქმულების ამბავი, ამასთან პირობას იძლევა, კონსტიტუციას დავიცავ და სახელმწიფოებთან ჩამოვარდნილი დავასაც მშვიდობიანად გავათავებო. ვენეცუელის სახელმწიფო ბანკმა აცნობა სხვა ქვეყნების ბანკებს, კასტროს ფული აღარ მისცეთო. კასტროს, ევროპაში წასვლის დროს, უფლება მიეცა განუსაზღვრელ სესხის აღებისა ბანკებიდან. გარეშე საქმეთა მინისტრს პაულს მიენდო, წავიდეს ევროპაში და მოაგვაროს სხვა სახელმწიფოებთან ჩამოვარდნილი უთანხმოებანი.

ჰააგა. მთავრობამ გამოაქვეყნა ყვითელი წიგნი ჰოლანდიელთ და ვენეცუელას ურთიერთობის შესახებ. წიგნში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოებმა მოიწონეს ჰოლანდიის მოქმედებაო. ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას განუცხადებია, რომ შეიარაღებული მოქმედება ჰოლანდიისა, დროებითი ოკუპაციაც კი ვენეცუელის ტერიტორიისა, არ ეწინააღმდეგება მონროეს დოქტრინასაო. ჰოლანდია აცხადებს, მე პრეზიდენტ კასტროს წინააღმდეგ ვმოქმედებდი და არა ვენეცუელის ერის წინააღმდეგ.

რუსეთი

ნოვოჩერკასკი ალექსანდროვსკ-გრუშევსკას ახლო პარამონოვის მაღაროებში ცეცხლი გაჩნდა. მაღაროების შესავალი ამოქოლვილია. იუზოვკიდან დაიბარეს ცეცხლის მქრობელი რაზმი.

ეკატერინოსლავი. იუზოვსა და რუტჩენკოვოს შუა საქონლის მატარებელი დაეჯახა 36 დატვირთულ ვაგონს, ძლიერ დაშავდნენ მაშინისტი, მისი თანაშემწე და ერთი მოსწავლე, სუბუქად დაშავდა სამი მოსწავლე, რომელნიც სკოლაში მოდიოდნენ. დაიმტვრა 5 ვაგონი, დაზიანდა 18 ვაგონი და ერთი ორთქლმავალი.

მოსკოვი. გამოცემულ იქნა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით წიგნის მაღაზიებისა საწყობების პატრონები და კერძო პირები, რომლებიც არ გამოაცხადებენ, რომ მათ აქვთ აკრძალული წიგნები, დაჯარიმებულ იქნებიან 3,000 მანეთით, ან 3 თვით იქნებიან დატუსაღებულნი.

პეტერბურგი. საქალებო საექიმო ინსტიტუტის დირექტორს სალაზკინს 1,000 მანეთი გადახდევინეს ჯარიმად არალეგალურ ლიტერატურის შენახვისთვის ინსტიტუტის შენობაში და აგრეთვე მისთვის, რომ მან ნება მისცა ამ ლიტერატურის გავრცელებისა ინსტიტუტის მსმენელ ქალთა შორის.

პეტერბურგი. მინისტერთა საბჭომ მოიწონა საკანონმდებლო დაწესებულებებში წარსადგენად მოხსენება სახალხო განათლების მინისტრისა დაბალ სასწავლებელთა შესახებ. ამ პროექტის თანახმად დაბალმა სასწავლებლებმა უნდა მისცენ მოსწავლეებს სრული პირველ დაწყებითი სწავლა; ამ სკოლებს აარსებენ და ინახვენ მთავრობა, ერობა, ქალაქები, წოდებანი, ზოგადოებანი და კერძო პირები.

ვარშავა. ფრანცისკანის ქუჩაზე ოთხმა კაცმა ერთი სახლის კიბეზე წააქცია ფოსტალიონი, რომელსაც ფულიანი პაკეტები დაჰქონდა, თვალებში თამბაქო ჩააყარეს, წაართვეს პაკეტები 1800 მანეთიანი, საკუთარი ფული 20 მანეთი და მიიმალნენ.

პეტერბურგი. 10 დეკემბერს პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 15, მოკვდა—4.

გამოცხადებულია, რომ ქალ. მოსკოვსა, მოსკოვის გუბერნიაში განსაკუთრებულ დაცვის წესები განგრძობილ იქნება 1909 წლის 7 ივნისამდე,

პოლტავა. 1909 წლის 20 მარტს შესრულდება ასი წლისთავი გოგოლის დაბადების დღიდან. პოლტავის საგუბერნიო ერობამ დაარსა სამი სტიპენდია გოგოლის სახელობაზე ველიკ-სოროჩინცის სემინარიაში, მირგოროდის მაზრაში, დიდებულ მწერლის სამშობლოში.

გაზ. „დროების" კანტორისაგან

„დროების" კანტორა უმორჩილესადა სთხოვს იმ ქალაქელ ხელის მომწერთ, რომელთაც გუშინ გაზეთი არ მიუღიათ და აგრეთვე მათ, რომელნიც ამ ორ-სამ დღეში არ მიიღებენ, აცნობონ ეს უსათუოდ კანტორას.

გაზეთის დროზე მიუღებლობა გამოიწვია იმან, რომ დამტარებლებად ახალი კაცები არიან, რადგან ძველებს ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდათ და ამიტომ კანტორამ დაითხოვა.

კანტორა სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქართული წარმოდგენა.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი წარმოდგენების მართვას დაიწყებს კვირას, 14 დეკემბერს. ამ დღეს ითამაშებენ ისტორიულ დრამას „სამშობლოს", პიესა მიდის სრულიად. ამ პიესისთვის შეკერილია ახალი ტანისამოსი და დახატულია ახალი დეკორაციები.

✦ **კანდიდატები ვიცე-პრეზიდენტობაზე.** ოთხშაბათს, 10 დეკემბერს, თათბირი ჰქონდათ კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატების დასასახელებლად. 12 ხმით დასახელებულ იქმნა ქალაქის გამგეობის წევრი ალ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, 10 ხმით—დიმიტრი ჩოლაყაშვილი, სამის ხმით—ა. ფირალოვი და ერთისა—ტიმოფეევი. დღეს უნდა მოხდეს არჩევნები ვიცე-პრეზიდენტისა. კრება დანიშნულია საღამოს 8 საათისათვის.

✦ **ორ-კლასიანი სკოლა.** მსხლეთში (ქართლი) სამრევლო ერთ-კლასიანი სკოლა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ გადააკეთა ორ-კლასიან სასწავლებლად და მეორე მასწავლებლის ჯამაგირისათვის გადასდო 300 მან.

✦ **მეხუთე გიმნაზია.** კავკასიის სამოსწავლო უწყებამ მისწერა ტფ. ქალაქის გამგეობას: რადგან არ გადასდეთ ვერაზე მე-5 გიმნაზიის დასაარსებლად, ისეთი ადგილი მაინც დაგვითმეთ, რომ მისი დაგირავებით თუ გაყიდვით შევადგინოთ თანხა და განვახორციელოთ აზრი გიმნაზიის დაარსებისაო. როგორც გავიგეთ, სამოსწავლო უწყებას სურს წყნეთის ქუჩაზე შეიძინოს გაბაშვილის ადგილი.

✦ **ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება.** მღ. ა. სიმონოვს შეუმუშავებია პროექტი წესდებისა სასულიერო პირთათვის ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების დასაარსებლად. პროექტი განსახილველად წარედგინება სამღვდელოების დეპუტატთა დღევანდელ კრებას.

✦ **ხუთი კაცის მოკვლა ბაქოში.** ბაქოდან გვატყობინებენ, 5 დეკემბერს, ნავთსადგურის მექანიკოსებმა ბახმეტიევმა და კრასილნიკმა წაიყვანეს სამი კაცი, ჩასხდნენ ნავში და წავიდნენ სანადიროდ ერთ-ერთ კუნძულისაკენ. გავიდა მეორე დღე და წასულნი არსადა სჩანდნენ. მაშინ შეუდგნენ ძებნას. ოც ვერსზე, ერთ კუნძულზე იპოვნეს ნავი. როდესაც ახლო მივიდნენ, ნახეს, რომ ხუთივე კაცი მოკლული იყო. წაეღოთ ყველაფერი—იარაღი, ტანისამოსი და სხვა. ვინ ჩაიდინა ეს საქმე—არ იციან.

✦ **ახალი ეკკლესია.** კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების გამგეობამ 23,000 მანეთი გადასდო რიყეზე ადგილის შესაძენად, სადაც წმ. ნიკონის სახელობაზე და ამას წინად მოკლულ ექსარხოსის ნიკონის ხსოვნის პატივსაცემლად უნდა აგონ ეკკლესია.

✦ **თერგის ოლქის უფროსი.** თერგის ოლქის უფროსად დაინიშნა გენერალი მიხეევი.

✦ **მაზრის უფროსის დათხოვნა.** მთავრობას სენაკის მაზრის უფროსი მიტკევიჩი თანამდებობიდან დაუთხოვნია.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ ერთს საქმის მწარმოებელს საათსაზოვს დაავალა რევიზია ტფ. ნოტარიუსების წიგნებისა, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი ფულია შესული ხაზინაში ნოტარიუსებისაგან ქალაქის სასარგებლოდ. ბუხჰალტერმა რამ გაუწყო ქალაქის გამგეობას, რომ საქმის მწარმოებელსა ნიშნავს სარევიზოთ.

✦ პეტერბურგის დეპუტატთა საავენტოს ტფილისის განყოფილება გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, № 34.

✦ 9 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ქალთა ინსტიტუტის მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა მოსწავლე ქალი ტატიანა ნერეტოვისა და ძლიერ დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

10 დეკემბერს ღამით რაზიევი ქუჩაზე ლევ ზლატოვერსკის მაღაზიიდან ქურდებს გაუტანიათ 451 მანეთის საქონელი.

ძვირფასი ხელთნაწერი

მღ. ზაქ. ბერიძემ საეკლესიო მუზეუმისათვის გადმოგვცა (10 დეკემბ.) პატარა კრებული, ხუცურად გადაწერილი 1721 წელს. მასში, სხვათა შორის, არის თხზულება აჭარის სოფელ ანჩის ეპისკოპოზის იოანე ანჩელისა—„გალობანი ანჩის ხატისანი" (გვ. 99—109, № 1020 საეკლ. მუზ.) ეს წერილი ანჩელისა მით არის საყურადღებო, რომ პირდაპირ ამბობს:

ა. ინებე რა მოქცევა ჩუენი (ქართველისა) ურწმუნოთა სარწმუნოებად, ქრისტე ღმერთო სახიერო, ხატი განკაცებისა შენისა: მოციქულისა **ანდრიას** მიერ გამოგვბრწყინვე (გვ. 102)

ბ. **ანდრია**, თავი მოციქულთა,—იდიდებოდენ ულალთა ლადოთა კლარჯეთისათა!—იერაპოლით მოვიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ მოსავთა მისთა მოვვანიჭა ნეტარმან... (გვ. 107).

ზოგიერთნი კი ამტკიცებენ, ანდრია საქართველოში არა ყოფილაო. მაგრამ ამის შესახებ იხილე ჩემი წერილი გაზ. „საქართველოში" (№ 9)—„სკვითიაში მყოფი საქართველოში ყოფილა".

დასასრულ, ვთხოვ ყველას, ვისაც აინტერესებს საქართველოს წარსულის შესწავლა და ვისაც მოეპოვება ძველი ხელთნაწერები, დააჩქარონ ამ ხელთნაწერების გამოგზავნა მუზეუმში დასაცავად, რომ მათი აღწერილობაც მოთავსდეს ამ მუზეუმის ჩემ-მიერ შედგენილ კატალოგში, რომელიც უკვე იბეჭდება.

მ. ჯანაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

დღემდის შეძლება არა მქონდა,*) რომ პრესსის საშუალებით ჩემი სიმართლე აღმედგინა, რადგან ციხეში ვიჯექით. დღეს გაოცებული ვარ, როდესაც ვკითხულობ „ბატუმსკი გოლოს"-ში კორრესპონდენციას, რომელშიაც საშინელ ჩირქსა გვცხებენ მე და ჩემს ამხანაგს. ასეთ ბრალდებას უკეთესი იყო დედამიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავეტანე! არ ვიცი ეს ყველაფერი რით დავიმსახურე, მით რომ მხურვალე მონაწილეობას ვიღებდი წარმოდგენების გამართვაში? შარშან მთელ ერთს წელიწადს ვმართავდი წარმოდგენებს, მეტი ფულიც იყო და თუ ისეთი კაცი ვიყავი, როგორც „ბატ. გოლოსი"-ს კორესპონდენტი ბრძანებს, მაშინ უფრო არ შემეძლო, მაგისთანა საზიზღრობის ჩადენა! კორესპონდენტმა სიყალბეზე აგებული კორესპონდენცია მიაწოდა ხსენებულ „ბატ. გოლ."-ს და ამით „ამირანი"-ც შეცდომაში შეიყვანა. ეხლა გატყობინებთ, როგორც იყო საქმე.

წარმოდგენის შემდეგ, 27 ოქტომბერს მე და დიმიტრი ერისთავი (გამგედ იყო) და ერთი ჩემი ამხანაგი იესე სიხარულიძე ერთად გამოვედით წარმოდგენიდან; ფული ყველა მე მებარა (ეს პირველად არ იყო). შარშანაც რამდენსამე დღეს ვიჭერდი საზოგადო ფულს ხელში, მაგრამ არავითარი დაცემა არ ყოფილა და მე წარმოდგენაც არ შემეძლო, თუ ამნაირ ბოროტებას ვინმე ჩაიდენდა. ერთად წავედით სასტუმროში სავახშმოდ მე, ერისთავი და ჩემი ამხანაგი სიხარულიძე. ვივახშმეთ, მე და ჩემი ამხანაგი გამოვემშვიდობეთ დიმიტრი ერისთავს იმ მოლაპარაკებით, რომ ხვალ საღამოს დავითვლიდით ფულს, იქნებ სთქვან, რატომ იმ ღამესვე არ ჩააბარა ფულიო. წარმოიდგინეთ მთელი 3 საათი სცენაზე დაღლილები ვიყავით როგორც მე, ისე დიმიტრი ერისთავი და ამისთანა ანგარიშის თავი არა გვქონდა და არც ერთს ის აზრი არ მოგვსვლია თავში რაც მოხდა. წამოვედით ერთად მე და ხსენებული ამხანაგი (ამასთან ვიტყვი, რომ ჩემი ამხანაგი სულ უბრალოდ შეჰხვდა ამ გარემოებას, არც კასსირად ყოფილა, როგორც კორესპონდენტი ამბობს, იგი მხოლოდ უბრალო მაყურებელი იყო და, რადგან ჩემი მეზობელი და ნათესავია, დავაცდევინე და ერთად წამოვედით სახლში). გზაში ორი შეიარაღებული კაცი დაგვხვდა რევოლვერით და ხანჯლით. მუქარით ზედა ტანისამოსი გაგვხადა, შემდეგ პალტოს ჯიბიდან ამომაცალეს ცხვირსახოცში გახვეული პორტმანე ჩემის ფულით და წარმოდგენის შემოსავლით. რამდენი იყო, მაშინ დათვლილი არა მქონდა. ბ-ნი კორესპონდენტი დაწვრილებით აღნიშნავს ფულის რაოდენობას, მაგრამ საკვირველია, საიდან, რადგან მე თვითონ არ ვიცოდი, რამდენი ფული მქონდა შიგ. ფული რომ გაიტაცეს ჩვენ მაშინვე მივმართეთ მაზრის უფროსს, ამას მოწმედ თვითონ ადმინისტრაციას წამოვაყენებთ, თუ საჭირო იქნება. კორესპონდენტი კი ამბობს, ვითომ მეორე დღეს განგვიცხადებინოს თავდასხმის ამბავი. კორესპონდენტი ჩემს პირადობასაც ეხებოდა „самозванецъ"-ს სტუდენტს მიწოდებს. ადვილად დავუმტკიცებ, რომ მე მართლა სტუდენტი ვარ.

ადმინისტრაციამ ჩვენ ორზე მიიტანა ეჭვი და ორივე ციხეში ჩაგვსვა და დღემდის საშუალებაც არა მქონდა პრესსით აღმედგინა ჩვენი სიმართლე. კორრესპონდენტი ამთავრებს თავის წერილს იმით, რომ ვითომ მთელი ქალაქი ეჭვით უყურებდეს ჩვენ განცხადებას და ამ საქმეში ვითომ ბრალსაც ჩვენ გვდებდნენ. არა მგონია, რომ ოზურგეთის საზოგადოებას ამნაირი შეხედულება ჰქონდეს ჩვენზედ.

ეხლა გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით შევიმსუბუქოთ ის ცილის-წამება, რაც კერძო ინტერესების გამო ჩვენ გადაგვხვდა. ამასთან გიგზავნით დაახლოვებით ანგარიშს (რადგან ბილეთების ჩეკები და ფული ერთად დაიკარგა), შესწორებულს საღამოს გამგის თანადასწრებით. მთელი შემოსავალი, ხარჯს გამოუკლებლად, ბილეთებისა და ბუფეტიდგან იყო 123 მან. 66 კაპ. ამაში შედის აგრეთვე შემოწირული უბილეთოდ 2 მან. ხარჯი იყო 55 მან. 63 კაპ. დარჩა 70 მ. 3 კაპ. აქედან გამოვაკლოთ უფასო ბილეთები 1 მან. 80 კაპ. დარჩა წმინდა შემოსავალი 66 მან. 23 კაპ., რაც ვალდებულად ვრაცხ ჩემა თავს გადავიხადო, მაგრამ იმ პირობით, რომ თვიურად ვიხადო, რადგან ერთად არ შემიძლიან ამ ფულის გადება. ყოველთვის, როდესაც გავგზავნი ფულს, გაზეთის საშუალებით შევატყობინებ საზოგადოებას. ეხლა კი ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე, რომ ცოტად დავაგვიანებ პირველ ხვედრის შეტანას, რადგან ჯერ-ჯერობით აქაური ხარჯები უნდა დავაკმაყოფილო. უკვე შევიტანე პოლიციაში მარკების 8 მან. 18 კაპ., რის კვიტანციაცა მაქვს. ეხლა დავაკმაყოფილებ სხვებს და ვეცდები პირველი ხვედრი მალე შევიტანო.

გთხოვთ ეს ჩემი წერილი სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდოს და ამით საშუალება მომცენ საზოგადოების წინაშე პირნათლად დავრჩე.

პატივის ცემით **გერმანე გოგიტიძე.**

P. S. აქ მოყვანილი ანგარიში შედგენილია ჩემის თანადასწრებით და სინამდვილესთან რაც შეიძლება დაახლოვებულია.

საღამოს გამგე **დიმ. ერისთავი.**

---

*) ეს წერილი „მუქმი" უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ რაკი დაიკეტა, ვეღარ დაიბეჭდა. გ. გ.

რედაქტორ-გამომცემელი
ივანე სოზიაშვილი.



აცეტილინის ფანარი
ახალი ტიპისა.
საუკეთესო მასალიდან გამადიდებელ შუშით და ალიუმინის რეფლექტორით, რომელიც დიდ სინათლეს აძლევდა, 60 ნაბიჯზე ანათებს, საჭიროა ბ-ნთ აფიცრებისა, მონადირეებისა და ტურისტებისთვის.
აუარებელი ხმარებაში. ასეთივე სისტემაა ველოსიპედებისთვის. ფასი 5 მან. კალცია, კარბილი მისთვის ასეთივე თვისებისა 30 კაპ. გირვანქა. იყიდება მხოლოდ კ. კ. ბობილევთან, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (5—ხალ.—2)

GRAND PRIX
1870 წ. პარიჟი 1900 წ. 1882 წ.
1865 წ. 1896 წ.
დედამიწაზე
საუკეთესო
გალოშები
სამ კუთხით
1860.
Т.Р.А.Р.М
С.ПЕТЕРБУРГЪ.
რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა
ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ"
ს.-პეტერბურგში
სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.
იყიდება ყველგან
(50—б.—35)

სტამბა „სინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.